ხელშეკრულება №23
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **თებერვალი/2023 წ.**

ერთი მხრივ, **იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი,** წარმოდგენილი მინისტრის **ნანა გაბელიას** სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, **შპს „იუ ჯი თი“** წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ერმილე სულაძის** სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი“), საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტისა და შემსყიდველი ორგანიზაციის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის **- ზვიად ბულისკერიას** 2023 წლის 08 თებერვლის №76-02 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის საჭიროებისათვის **ტონერიანი კარტრიჯის** შესყიდვა (**CPV30125100 - ტონერიანი კარტრიჯები**) - ხელშეკრულების 1.2 პუნქტის შესაბამისად.

1.2.

№	დასახელება და მახასიათებლები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი დღგ-ს ჩათვლით	საერთო ფასი დღგ-ს ჩათვლით
1.	კარტრიჯი Samsung MLT-D115L	ცალი	1	290,0	290,0

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1.ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი საქონლის ერთეულის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს: **290.00 (ორასოთხმოცდაათი)** ლარს.

2.2.ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს: **290.00 (ორას ოთხმოცდაათი)** ლარს.

2.3.ანგარიშსწორება ხორციელდება ლარში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4.შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესახებ სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და ინსპექტირების საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 3. საქონლის შესაბამისობა

წინამდებარე ხელშეკრულების პირობებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

<u>მუხლი 4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი</u>

4.1.ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიღება ხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის ადგილსამყოფლის მიხედვით შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N17ე.**

4.2.შემსყიდველი საქონლის მიღებას აწარმოებს მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის მიხედვით.

4.3.მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის მიწოდებული საქონელი მიღებულად ჩაითვლება სასაქონლო ზედნადების გამოწერისა და ინსპექტირების განხორციელების საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

4.4 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირად შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან განისაზღვროს**ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი - ზვიად ბულისკერია.**

<u>მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი</u>

5.1.მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) საქონლის მოწოდებისას იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

ბ)ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **არაუგვიანეს 2023 წლის 15 თებერვლისა;**

გ) შემსყიდველს დროულად მიაწოდოს უფლებრივად და საგნობრივად უნაკლო საქონელი;

დ)საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა არსებობის შემთხვევაში;

ე) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ.

5.2.შემსყიდველი ვალდებულია:

ა)შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მოწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

ბ) მიმწოდებელთან ერთად, აწარმოოს ინსპექტირება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიმდინარეობაზე.

<u>მუხლი 6. ფორს-მაჟორი</u>

6.1.მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუს-რულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2.მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

<u>მუხლი 7. პასუხისმგებლობა</u>

7.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას, პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **5%** - არაუგვიანეს 10 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულებების **0.3 %** პროცენტის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
7.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების **5 (ხუთი)** პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
7.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით **გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით** (დადასტურებული ასანაზღაურებელი თანხის არსებობის შემთხვევაში);
7.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1.ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.
8.2.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.3.ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.
8.4.შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:
ა)მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ;
ბ)მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);
გ)მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;
დ)მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;
ე) შემსყიდველის მხრიდან არსებობს პატივსადები საფუძველი ხელშეკრულების ურთიერთობის ვადამდე მოშლასთან დაკავშირებით.

მუხლი 9. უფლებების გადაცემა

9.1.წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
9.2.მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1.ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. დასაშვებია შეტყობინების ელექტრონული საშუალებების მეშვეობით წარმოდგენა, ხელშეკრულების მხარეთა შესაბამის ელექტრონულ მისამართებზე.
10.2.შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 11. ინსპექტირება

11.1.წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას, მათ შორის კონტრაქტით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლს, ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის **ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - ბორის გაბუნია**

11.2.შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს საქონლის მიწოდების დროს განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე ან/და შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

მუხლი 12. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

12. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის გონივრულ ვადაში შეცვლა.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1.ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

13.2.იმ შემთხვევაში, თუ საქონლის მოწოდების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

13.3.ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13.4.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.5.მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.6.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე – **2023 წლის 20 მარტის ჩათვლით.**

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი
საიდენტიფიკაციო კოდი: 205315513;
მის: ქ. თბილისი, ა.ჭავჭავაძის გამზ. 17ე;
საბანკო რეკვიზიტები: თბილისის ხაზინის ერთიანი ანგარიში.
ბანკის კოდი: TRESGE22;
საკონტაქტო ტელეფონი: 577092622
მინისტრი: ნანა გაბელია

მიმწოდებელი:
შპს „იუ ჯი თი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 204892964
მის. ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17ე;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“;
ბანკის კოდი: TBCBGE22; ანგარიშის ნომერი: GE05TB0600000005467291;
საკონტაქტო ტელეფონი: 032 222 05 05
გენერალური დირექტორი: ერმილე სულაძე

Nana Gabelia 62006031850 Digitally signed by Nana Gabelia Date: 2023.02.09 16:53:49

UGT LLC Digitally signed by UGT LLC Date: 2023.02.10 12:59:12 +04'00'